*დანართი N1*

# არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ წესდება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ (შემდგომში - “სააღმზრდელო დაწესებულება”) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” საფუძველზე.

1.2. სააღმზრდელო დაწესებულების დამფუძნებელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ს/კ 222938490), იურიდიული მისამართი: ქ.ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11.

## მუხლი 2. სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

2.1. სააღმზრდელო დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი”-თ, ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. სააღმზრდელო დაწესებულების სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“.

2.3. სააღმზრდელო დაწესებულების იურიდიული მისამართი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ქ. ამბროლაური ვანო კობახიძის ქ. N7.

2.4. სააღმზრდელო დაწესებულებას გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.

2.5. სააღმზრდელო დაწესებულების ელექტრონული მისამართია: ელ.ფოსტა ambrolaurisbagi@gmail.com **ტელეფონი: 599 14 15 03.**

## მუხლი 3. სააღმზრდელო დაწესებულების მიზნები

3.1. სააღმზრდელო დაწესებულების მიზნებია:

3.1.1. მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას; მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას;

3.1.2. ხელი შეუწყოს მოზარდი თაობის ზნეობრივი და შრომითი აღზრდის საკითხებს;

3.1.3. განავითაროს მოზარდთა მრავალმხრივი ნიჭი და მიდრეკილებები, აამაღლოს საზოგადოებრივი აქტივობა, გაზარდოს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისადმი ინტერესი, ხელი შეუწყოს მოზარდებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

## მუხლი 4. სააღმზრდელო დაწესებულების საქმიანობის ფორმები

4.1. საწესდებო მიზნების მისაღწევად სააღმზრდელო დაწესებულების საქმიანობის ფორმებია:

4.1.1. ეწევა აღმზრდელობით-შემეცნებით საქმიანობას;

4.1.2. უზრუნველყოფს საბავშვო ბაღებს თანამედროვე საბავშვო ლიტერატურით;

4.1.3. ეწევა ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვას და ხელს უწყობს მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას;

4.1.4. მონაწილეობას იღებს სხვადასხვა პროგრამებში გრანტების მოსაპოვებლად;

4.1.5. დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს;

4.1.6. უფლებამოსილია მიიღოს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგოს ფინანსური და მატერიალური რესურსები;

4.1.7. თავის აღმზრდელობითი პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა ორგანიზაციებთან;

4.1.8. ეწევა საქართველოს ბავშვთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, მათი მიზნების, საქმიანობის პრობლემების შესწავლის და სახელმწიფოებრივ ხელშეწყობას, მათი ურთიერთობისა და ინტერესების დაცვას;

4.1.9. წარუდგენს შესაბამის თვითმმართველობის ორგანოებს რეკომენდაციებს და წინადადებებს, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სააღმზრდელო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის შესახებ;

4.1.10. სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებული რესურსების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერიოდული განახლება და მაქსიმალურად გამოყენება;

4.1.11. სისტემატიური მუშაობა სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებთან მათი უფლებამოვალეობების დაცვისა და განხორციელებისათვის, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება თითოეულ თანამშრომელთან და ზრუნვა მათი ოპტიმიზაციისათვის.

## მუხლი 5. სააღმზრდელო დაწესებულების სტრუქტურა

5.1. სააღმზრდელო დაწესებულება შედგება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქ. ამბროლაურის, სადმელის, ჭრებალოს, ბუგეულის, ხვანჭკარის, წესის, ლიხეთის, ნიკორწმინდის, ხიდიკარის, ბოსტანის, ურავის, ჭყვიშისა და ჭელიაღელის საბავშვო ბაღებისაგან.

5.2. სააღმზრდელო დაწესებულებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

5.3 დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ბრძანებით განსაზღვრული სააღმზრდელო დაწესებულების ერთ-ერთი თანამშრომელი.

5.4. სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი:

5.4.1. წარმართავს და ორგანიზებას უწევს სააღმზრდელო დაწესებულების საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

5.4.2 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სააღმზრდელო დაწესებულების ბიუჯეტს, საშტატო განრიგს და სტრუქტურას;

5.4.3. „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ დადგენილი წესით სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს, იღებს გადაწყვეტილებებს სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის შესახებ;

5.4.4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით გამოსცემს ბრძანებას დირექტორის შვებულებისა და მივლინების შესახებ;

5.4.5. მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს სააღმზრდელო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

5.4.6. დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

5.4.7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

5.4.8. ახორციელებს სააღმზრდელო დაწესებულების ფინანსური რესურსების მართვას და პასუხს აგებს მათ სწორად გამოყენებაზე;

5.4.9. მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სააღმზრდელო დაწესებულების ყველა ორგანიზაციაში, დაწესებულებასა და საწარმოში თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, გასცემს მინდობილობებს;

5.4.10. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს), განსაზღვრავს სააღმზრდელო დაწესებულების შინაგანაწესს და ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

5.4.11. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ქმნის საბავშვო ბაღებში საკონსულტაციო საბჭოს;

5.4.12. მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებას სააღმზრდელო დაწესებულების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;

5.4.13. წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელის არ არის აკრძალული კანონით;

5.4.14. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს წელიწადში ორჯერ წარუდგენს ანგარიშს სააღმზრდელო დაწესებულების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (მიმდინარე წლის 10 ივლისამდე

და მომდევნო წლის 10 იანვრამდე), აგრეთვე ყოველი საანგარიშო კვარტლის დასრულებიდან მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას.

5.4.15. ყოველი წლის ბოლოს ადგენს ანგარიშს სააღმზრდელო დაწესებულების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

5.4.16. ახორციელებს ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვას;

5.4.17. ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად ქმნის საკონსულტაციო საბჭოს;

5.5. სააღმზრდელო დაწესებულების კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

## მუხლი 6. საკონსულტაციო საბჭო

6.1.სააღმზრდელო დაწესებულება საზოგადოებრივ საწყისებზე ქმნის საკონსულტაციო საბჭოს.

6.2. საკონსულტაციო საბჭოს ჰყავს 7 წევრი:

ა) 5 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ბ) 2 აღმზრდელ-პედაგოგი.

6.3. საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობისათვის შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი/სპეციალისტი.

6.4.სააღმზრდელო დაწესებულება დირექტორი უფლებამოსილია საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებს ხმის უფლების გარეშე დაესწროს.

6.5. საკონსულტაციო საბჭოს ირჩევს მშობელთა საერთო კრება 1 წლის ვადით, ამ ვადის ერთხელ განახლების უფლებით.

6.6. საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და სააღმზრდელო დაწესებულების წესდებით.

## მუხლი 7. სააღმზრდელო დაწესებულების ქონება და ფინანსები

7.1. სააღმზრდელო დაწესებულების ქონებრივი და ფინანსური წყაროებია:

7.1.1. შესაბამისი ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი სუფსიდიები;

7.1.2. გრანტები;

7.1.3. შემოწირულობები;

7.1.4. კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები;

7.2. მიღებული სახსრები სააღმზრდელო დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს საწესდებო მიზნების მისაღწევად;

7.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

7.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს. ქონების გასხვისებას საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

## მუხლი 8. დაწესებულების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

8.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით წესით, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

8.2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

8.3. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

8.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

8.4.1. გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

8.4.2. ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

8.4.3. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

8.5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

8.6. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

8.7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

## მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

9.2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიადი მხეიძე

Zviadi Mkheidze

Digitally signed by Zviadi Mkheidze
Date: 2023.11.27 12:38:57 +04'00'